



**საქართველოში ბავშვთა უფლებრივი მდგომარეობის ანალიზი საერთაშორისო -ეროვნულ
კანონმდებლობასა და პრაქტიკაში**

სალომე აბულაშვილი

სოციოლოგიისა და სოციალური მუშაობის საბაკალავრო პროგრამა

მარიკა გაჩეჩილაძე

ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის საბაკალავრო პროგრამა

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

E-mail: saloabulashvili@gmail.com

gachechiladzemarika@yahoo.com

აბსტრაქტი

დღესდღეობით, საქართველოში ერთ-ერთ მნიშვნელოვან განსახილველ საკითხს წარმოადგენს ბავშვის უფლებები და მათი დაცვა. ჩვენს ქვეყანაში ბავშვის უფლებები განსაზღვრულია, როგორც ეროვნული კანონმდებლობით, ისე საერთაშორისო სამართლებრივი აქტებით, თუმცა კანონების მიღებასთან ერთად საყურადღებოა მათი აღსრულების პრობლემა. შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, 2016-2018 წლებში ბავშვზე ძალადობის შესახებ ინფორმაციის მიწოდების ვალდებულების შეუსრულებლობის არც ერთი ფაქტი არ ფიქსირდება (პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის, 2018). ეს კი იმის მანიშნებელია, რომ სათანადოდ არ მუშაობს 2016 წელს საქართველოს მთავრობის მიერ მიღებული „ბავშვის დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების“ შესახებ კანონი, რომელიც ბავშვზე ძალადობისა და უგულბეზღობის ეჭვის ან ფაქტის შემთხვევაში რეფერირების ვალდებულებას განუსაზღვრავს ყველა იმ სახელმწიფო ინსტიტუციას, რომელსაც შეხება აქვს ბავშვთან (პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის, 2018). ასევე, საქართველოს მიერ მიღებული კანონმდებლობის მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილია საერთაშორისო დოკუმენტები: „ბავშვთა სექსუალური ექსპლუატაციისა და სექსუალური ძალადობისაგან დაცვის ევროპის საბჭოს კონვენცია“ და „გაეროს“ მიერ შემუშავებული „კონვენცია ბავშვის უფლებების შესახებ“. ნაშრომში განხილულია, რამდენად შეესაბამება აღნიშნული კანონმდებლობა საქართველოში არსებულ რეალობას და როგორ არის დაცული ბავშვის უფლებები კანონმდებლობაში და როგორ ხდება მათი აღსრულება. აქედან გამომდინარე, ნაშრომის მიზანია ძალადობის თვალსაზრისით, ბავშვთა უფლებრივი მდგომარეობის შესწავლა ეროვნულ და საერთაშორისო კანონმდებლობასა და პრაქტიკაში. კვლევაში გამოყენებულია თვისებრივი კვლევის ისეთი მეთოდები, როგორებიცაა: მეორეულ მონაცემთა ანალიზი, დოკუმენტების ანალიზი, ლიტერატურის მიმოხილვა და სიღრმისეული ინტერვიუ. მიღებულმა შედეგებმა აჩვენა, რომ ბავშვებთან მომუშავე სპეციალისტები სერიოზულ პრობლემად მიიჩნევენ ბავშვის მიმართ ძალადობისა და უგულბეზღობის პრობლემას ოჯახებში, რაც შემდგომ უარყოფითად აისახება ბავშვის ფსიქო-ემოციურ განვითარებაზე. ასევე, ისინი ხაზს უსვამენ იმას, რომ ჯერ კიდევ პრობლემას წარმოადგენს მშობლების მხრიდან ფსიქოლოგებისადმი დამოკიდებულება და მათდამი უნდობლობა, რასაც დიდწილად განაპირობებს საზოგადოებაში დამკვიდრებული სტერეოტიპები. ამასთანავე, პრობლემას წარმოადგენს მიღებული კანონმდებლობის ხარვეზები და პრაქტიკაში აღსრულების პრობლემა. ჩვენ მიერ გაანალიზებული ლიტერატურის, სტატისტიკისა და ჩატარებული სიღრმისეული ინტერვიუებიდან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სათანადოდ არ ხდება მიღებული კანონმდებლობის აღსრულება, ადეკვატური რეაგირება და შესაბამის პასუხისმგებელ უწყებებში მომუშავე სპეციალისტების ინფორმირებულობის დონის ამაღლება.

საკვანძო სიტყვები: ბავშვთა უფლებები, ბავშვთა უფლებების დაცვა, ბავშვის მიმართ ძალადობა.

შესავალი

დღეს, საქართველოში მნიშვნელოვან განსახილველ საკითხს წარმოადგენს ადამიანის უფლებები, სამოქალაქო საზოგადოების როლი და სახელმწიფოს ფუნქცია სოციალური კეთილდღეობის შენარჩუნებასა და ამაღლებაში. სამოქალაქო ჩართულობა მთელ მსოფლიოში განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს და დიდ როლს თამაშობს, როგორც სოციალური, ისე

პოლიტიკის შექმნისა და განხორციელების ყველა ეტაპზე (სამოქალაქო განვითარების ინსტიტუტი, 2015).

ადამიანის უფლებების შესახებ ადგილობრივ დოკუმენტებსა და საერთაშორისო ხელშეკრულებებში დიდ მნიშვნელობა ენიჭება ბავშვის უფლებებსა და მათ დაცვას. საქართველოში ბავშვის უფლებები განსაზღვრულია, როგორც საერთაშორისო სამართლებრივი აქტებით, ისე ეროვნული კანონმდებლობით.

საქართველო ბავშვის უფლებათა კონვენციას შეუერთდა 1994 წელს. აღნიშნული დოკუმენტი გამოიყენება, როგორც უშუალოდ მოქმედი კანონი და ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთ ნორმატიულ აქტს წარმოადგენს. ბავშვის უფლებათა კონვენცია ხაზს უსვამს, რომ ბავშვებს აქვთ უფლებები და აღიარებს მათ დამოუკიდებელ სამართლებრივ სუბიექტებად, რომლებიც განვითარების სტადიაში იმყოფებიან. ეს დოკუმენტი ადამიანის უფლებათა შესახებ ყველაზე ფართოდ მიღებული ხელშეკრულებაა (პინეირო, 2006). საქართველოში სახელმწიფოს მიერ ბავშვის ფუნდამენტური უფლებების დაცვისათვის მიღებული მნიშვნელოვანი კანონებია:

- კანონი „ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების დამტკიცების შესახებ“ (საქართველოს მთავრობა, 2016)
- „ბავშვთა სექსუალური ექსპლუატაციისა და სექსუალური ძალადობისაგან დაცვის ევროპის საბჭოს კონვენცია“ (საქართველოს პარლამენტი, 2007)
- „კონვენცია ბავშვის უფლებების შესახებ“ (საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი, 2000)

მიუხედავად ქვეყანაში არსებული საერთაშორისო თუ ეროვნული კანონმდებლობის მიღებისა, საქართველოში კვლავ პრობლემას წარმოადგენს ბავშვთა მიმართ ძალადობა. „ტემპუსის“ (ტრანს-ევროპული მობილობის პროგრამა უნივერსიტეტის კვლევებისთვის) პროგრამის ფარგლებში შექმნილ სასწავლო ლიტერატურაში ბავშვის მიმართ ძალადობა შემდეგნაირადაა განმარტებული: „ბავშვის მიმართ ძალადობად უნდა განიხილებოდეს ყველა ის ქმედება, რომელიც მიმართულია ფიზიკური, ფსიქოლოგიური, სექსუალური, ეკონომიკური ძალადობით ან იძულებით ბავშვის კონსტიტუციური და საერთაშორისო კანონმდებლობით აღიარებული უფლებებისა და თავისუფლებების დარღვევისაკენ“ (სამოქალაქო განვითარების ინსტიტუტი, 2015).

ჩვენს ქვეყანაში ჩატარებული კვლევები და დაფიქსირებული შემთხვევები გვიჩვენებს, რომ საქართველოში დღემდე არსებობს ბავშვის აღზრდის ძალადობრივი კულტურა. მდგომარეობის გამოსასწორებლად გადადგმული ნაბიჯები და პრევენციული ზომები ჯერ კიდევ არ არის საკმარისი არსებული რეალობის შესაცვლელად. „გაეროს ბავშვთა ფონდის“ მიერ ჩატარებული ძალადობის ეროვნული კვლევის მიხედვით, საზოგადოების 60 % ფიქრობს, რომ ბავშვის აღზრდისას ძალადობრივი მეთოდების გამოყენება უფრო შედეგიანია, ვიდრე არაძალადობრივი მეთოდებისა. მოსახლეობის 45 % თვლის, რომ ფიზიკური დასჯის გარეშე ბავშვი „სწორად“ ვერ აღიზრდება (გაეროს ბავშვთა ფონდი, 2013). „გაეროს“ კვლევამ აჩვენა, რომ საქართველოს მოსახლეობა და ბავშვებთან მომუშავე პროფესიონალები ძალიან „რბილად“ უყურებენ ბავშვთა მიმართ ძალადობას. მიუხედავად იმისა, რომ უმეტესობამ იცის, თუ რა არის ბავშვთა მიმართ ძალადობა, საზოგადოებაც და პროფესიონალებიც თავს იკავებენ, რომ შეატყობინონ შემთხვევა სოციალური მომსახურების სააგენტოს და მიიღონ შესაბამისი ზომები ბავშვის ინტერესების დასაცავად. საკითხისადმი ასეთ დამოკიდებულებას რესპონდენტები სხვადასხვა მიზეზით

ხსნიან: არ სურთ ოჯახის საქმეებში ჩარევა, ზოგჯერ მისაღებად მიაჩნიათ ძალადობის გარკვეულ ფორმები (მაგალითად, სხეულებრივ დასჯა), ზოგჯერ კი, მათი თქმით, ბავშვისათვის მეტი ზიანის მიყენებას ერიდებიან. ყოველი 100 საექვო შემთხვევიდან, სოციალური მომსახურების სააგენტოს ინფორმირება ხდება მხოლოდ 4-6 შემთხვევაში; დანარჩენი შემთხვევები კი რეაგირების მიღმა რჩება (გაეროს ბავშვთა ფონდი, 2017).

საყურადღებოა, 2016 წლის 12 სექტემბერს მიღებული ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) მოქმედი დოკუმენტი, რომელიც საქართველოს მთავრობამ მიიღო. 2018 წელს არასამთავრობო ორგანიზაციამ „პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის“ ბავშვთა მიმართ რეფერირების პროცედურების სისტემის გამართვის მიზნით მთავრობას მიმართა. ეს დოკუმენტი ძალადობის რეფერირების ვალდებულებას განუსაზღვრავს ყველა იმ სახელმწიფო ინსტიტუციას, რომელსაც შეხება აქვს ბავშვთან (პოლიცია, სოციალური მომსახურების სააგენტო, სკოლა, ბაღები, სამედიცინო დაწესებულები, მუნიციპალიტეტები და ა.შ.). ამავე ორგანიზაციის მიერ გავრცელებული ინფორმაციით, რეფერირების დადგენილების გამოცემიდან 1 წლის შემდგომ, კოალიციის მიერ რეფერირების პროცედურებში ჩართული უწყებებიდან მოპოვებულ იქნა ინფორმაცია, რომელიც ადასტურებს, რომ უწყებათა უმრავლესობას არ გააჩნია ძალადობის რეფერირების გაწერილი შიდა ინსტრუქცია და მათი თანამშრომლების უმრავლესობა არ იცნობს არსებულ დოკუმენტს, შესაბამისად, არ ფლობენ ინფორმაციას მათზე დაკისრებულ ვალდებულებასთან დაკავშირებით, რაც არსებული დადგენილების აღსრულების ხარვეზებზე მიგვანიშნებს (პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის, 2018).

„ბავშვთა კეთილდღეობის რეფორმისა და ბავშვზე ზრუნვის სისტემის შეფასების“ 2014 წლის ანგარიშის მიხედვით, ძალადობის მსხვერპლთა იდენტიფიკაციის გაუმჯობესების მიზნით რეფერირების პროცედურების დახვეწასთან ერთად საჭიროა ძალიან მარტივი და გასაგები ინსტრუმენტის შექმნა, რომლითაც მომზადდებიან პროფესიონალები, რაც გაუადვილებთ მათ ძალადობის მსხვერპლთა იდენტიფიკაციას და, შესაბამისად, რეაგირებასაც. ამას გარდა, კვლევაში გამოკითხულ ექსპერტებს საჭიროდ მიაჩნიათ სანქციებისა და რეგულაციების დაწესება, რადგან დიდია შანსი იმისა, რომ ამ მექანიზმის გარეშე ძალადობის შემთხვევების დიდი ნაწილი იდენტიფიცირების მიღმა დარჩება (ნამიჭეიშვილი, 2014).

კვლევის მეთოდოლოგია

წარმოდგენილი სტატიის მიზანია ძალადობის თვალსაზრისით ბავშვთა უფლებრივი მდგომარეობის შესწავლა ეროვნულ და საერთაშორისო კანონმდებლობასა და პრაქტიკაში.

შესაბამისად გამოვყავით კვლევის ამოცანები: ეროვნული და საერთაშორისო დოკუმენტების ანალიზი; ფსიქოლოგების, სკოლის პედაგოგებისა და მშობლების დამოკიდებულების შესწავლა ბავშვთა მიმართ ძალადობის კონტექსტში; სპეციალისტებისა (ფსიქოლოგები, პედაგოგები) და მშობლების ინფორმირებულობის დონის შესწავლა ბავშვთა უფლებებთან დაკავშირებით.

მიზნისა და ამოცანების მისაღწევად კვლევაში გამოვიყენეთ თვისებრივი კვლევის ისეთი მეთოდები, როგორებიცაა: დოკუმენტების ანალიზი, სიღრმისეული ინტერვიუ, მეორეულ მონაცემთა ანალიზი და ლიტერატურის მიმოხილვა.

კვლევისთვის მიზნობრივად შევარჩიეთ ხუთი რესპონდენტი: სკოლის ერთი ფსიქოლოგი, მანდატურის ბაზაზე არსებული ერთი ფსიქოლოგი, ორი მშობელი, სკოლის ერთი პედაგოგი. სიღრმისეული ინტევიუები ჩატარდა ქ. თბილისისა და ქ. რუსთავის საჯარო სკოლებში.

დოკუმენტების ანალიზისთვის შევისწავლეთ: „ბავშვის დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების“ შესახებ 2016 წლის კანონი, „ბავშვთა სექსუალური ექსპლუატაციისა და სექსუალური ძალადობისაგან დაცვის ევროპის საბჭოს კონვენცია“ და „გაეროს“ მიერ შემუშავებული „კონვენცია ბავშვის უფლებების შესახებ“.

ლიტერატურის მიმოხილვისთვის გავაანალიზეთ: „გაეროს ბავშვთა ფონდის“ მიერ 2013 წელს ჩატარებული ეროვნული კვლევა „ბავშვთა მიმართ ძალადობა საქართველოში“, „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის“ 2018 წლის კვლევა „ბავშვის მიმართ ძალადობა, საჭიროებების კვლევა“, „გაეროს“ 2006 წლის კვლევა „ძალადობა ბავშვების მიმართ“, „საქართველოს სახალხო დამცველის“ სპეციალური ანგარიში „საგანმანათლებლო დაწესებულებებში მოსწავლეთა მიმართ ძალადობის კუთხით არსებული მდგომარეობის შესახებ“, „ევროკავშირის“ მხარდაჭერით მომზადებული 2014 წლის კვლევა „ბავშვთა კეთილდღეობის რეფორმისა და ბავშვზე ზრუნვის სისტემის შეფასება“.

მეორეულ მონაცემთა ანალიზისთვის გამოვიყენეთ: „სოციალური მომსახურების სააგენტოს“, „საქართველოს სახალხო დამცველის“, „შინაგან საქმეთა სამინისტროს“, „საქართველოს პროკურატურის“, „საქართველოს საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფონდი“ სტატისტიკური მონაცემები.

კანონმდებლობის ანალიზი

ბავშვთა მიმართ ძალადობა და უგულვებელყოფა ერთ-ერთ აქტუალურ საკითხს წარმოადგენს. საქართველოს კონტექსტში აღნიშნული თემის მნიშვნელობას ხაზს უსვამს ძალადობაზე მიმართვიანობის მზარდი სტატისტიკაც. „2010 წელს სოციალური მომსახურების სააგენტოში ძალადობის შესახებ 40 შეტყობინება დაფიქსირდა, 2011 წელს – 90, 2012 წელს -150, 2016 წელს - 755, 2017 წლის ათი თვის მონაცემებით კი 691 შემთხვევა“ (გავაშელი, 2017). 2016 წელს ბავშვის მიმართ სხვადასხვა ფორმის ძალადობის გამოვლენილი 755 ფაქტიდან შინაგან საქმეთა სამინისტროში რეფერირება განხორციელდა 426 შემთხვევაზე (საქართველოს სახალხო დამცველი, 2016). აღნიშნულიდან გამომდინარე, შეგვიძლია ვიმსჯელოთ, იმ საკითხზე, რომ ძალადობის იდენტიფიცირებულ ყველა შემთხვევაზე შესაბამისი უწყებების მხრიდან არ ხდება ადეკვატური რეაგირება და კანონის აღსრულება.

ვთვლით, რომ დადებითად შეიძლება შეფასდეს საზოგადოების გააქტიურება მიმართვიანობის თვალსაზრისით, თუმცა რეაგირების მექანიზმი კვლავ პრობლემურ საკითხად რჩება. გასათვალისწინებელია საკითხის ის ასპექტი, რომ რეფერირების დოკუმენტი მიმართულია პირდაპირ ძალადობის შემთხვევების რეაგირებაზე და არა პრევენციაზე. პრობლემური საკითხია ისიც, რომ ის არ ავალდებულებს მიმართვიანობას სამოქალაქო საზოგადოებასა და არასამთავრობო ორგანიზაციებს. რეალურად ის შემოსაზღვრულია ოჯახითა და ყველა იმ სახელმწიფო სტრუქტურით, რომელსაც პირდაპირი თუ ირიბი შეხება აქვს ბავშვთან. დღეს, ძალადობის ფაქტის შეუტყობინებლობის შემთხვევაში შინაგან საქმეთა სამინისტროს აქვს შესაბამისი სახელმწიფო სტრუქტურების დაჯარიმების ვალდებულება. შსს-ს ინფორმაციით, 2016-2018 წლებში ბავშვზე ძალადობის შესახებ ინფორმაციის მიწოდების ვალდებულების

შეუსრულებლობის არც ერთი ფაქტი არ ფიქსირდება (პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის, 2018). აღნიშნული ინფორმაციიდან გამომდინარე, კიდევ ერთხელ დასტურდება რომ გაუმართავია, როგორც სისტემა, ისე აღსრულების მექანიზმი.

ძალადობის განხილვისას ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია ბავშვის მიმართ სექსუალური ძალადობა და მისი იდენტიფიცირების პრობლემა. 2007 წელს საქართველომ მიიღო „ევროპის საბჭოს კონვენცია სექსუალური ექსპლუატაციისა და სექსუალური ძალადობისაგან ბავშვთა დაცვის შესახებ“, რომელიც ერთ-ერთ საერთაშორისო დოკუმენტს წარმოადგენს. ამ დოკუმენტის ხელმძღვანელი სახელმწიფოები თვლიან, რომ ბავშვთა სექსუალურმა ექსპლუატაციამ და ბავშვთა მიმართ სექსუალურმა ძალადობამ შემაშფოთებელი მასშტაბები შეიძინა როგორც სახელმწიფო, ისე საერთაშორისო დონეზე. კერძოდ, როგორც ბავშვთა, ისე დანაშაულის ჩამდენთა მხრიდან საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებით გაძლიერებული სარგებლობის გამო დღის წესრიგში დგას სექსუალური ექსპლუატაციისა და სექსუალური ძალადობის პრევენცია და მის წინააღმდეგ ბრძოლა, რაც მოითხოვს საერთაშორისო თანამშრომლობას (საქართველოს პარლამენტი, 2007).

საქართველოს პროკურატურის სტატისტიკის მიხედვით, 2017 წლის პირველ 6 თვის განმავლობაში არასრულწლოვნების მიმართ განხორციელებულ სექსობრივ დანაშაულზე შეტყობინების ავტორი იყო სამოქალაქო რეესტრი (42,6%), საავადმყოფო (25,9%), ოჯახის წევრი (11,1%), დაზარალებული (3,7%), ახლობელი (1,9%), სხვა (14,8%) (საქართველოს პროკურატურა, 2017). ამ მონაცემებიდან ჩანს, რომ თავად მსხვერპლების საკმაოდ მცირე ნაწილი მიმართავს შესაბამის ორგანოებს, რაც შესაძლებელია გამოწვეული იყოს: ინფორმირებულობის დაბალი დონით თუ ვის შეიძლება მიმართოს მსხვერპლმა, ასევე არსებული სოციო-კულტურული გარემოთი, რამაც მსხვერპლს შეიძლება უზიძვოს ამ ფაქტის დამალვისკენ. საყურადღებოა ისიც, რომ 56.3% შემთხვევაში დანაშაულის შესახებ შეტყობინება საქართველოს პროკურატურაში შესულია დანაშაულის ჩადენიდან 1 და მეტი წლის გასვლის შემდეგ (საქართველოს პროკურატურა, 2017). რაც შეეხება იმას, თუ რამდენად შესაბამისობაში მოდის არსებულ პრაქტიკასთან „ევროპის საბჭოს კონვენცია სექსუალური ექსპლუატაციისა და სექსუალური ძალადობისაგან ბავშვთა დაცვის შესახებ“, საქართველოში არის ისეთი ორგანიზაციებისა თუ სახელმწიფო უწყებების დეფიციტი, რომლებიც მუშაობენ და ზრუნავენ უშუალოდ სექსუალური ხასიათის ძალადობისა და ექსპლუატაციის მსხვერპლი ბავშვების უფლებების დაცვაზე, რეაბილიტაციასა და რესოციალიზაციაზე. „ლანსაროტის კონვენცია“ კი ხელმძღვანელი სახელმწიფოებს ავალდებულებს გაატაროს შესაბამისი ზომები მსხვერპლთა დაცვისათვის. ასევე, დოკუმენტში საყურადღებოა პრევენციის საკითხი, რასაც ამ ეტაპზე საქართველოში არა აქვს მიღებული მუდმივი ხასიათი. დოკუმენტის მიხედვით, სექსუალური ძალადობა კრიმინალიზებულია, რაც შესაბამისობაში მოდის საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსთან. დოკუმენტის მიმღებმა თითოეულმა მხარემ უნდა განსაზღვროს ასაკი, რომლის მიღწევამდეც აიკრძალება ბავშვთან სექსუალური ურთიერთობის დამყარება. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 140-ე მუხლის მიხედვით, კრიმინალიზებულია სექსუალური ხასიათის შეღწევა თექვსმეტი წლის ასაკს მიუღწევლის სხეულში (საქართველოს პარლამენტი, 1999).

ფიზიკურ და სექსუალურ ძალადობასთან ერთად მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს ძალადობის კიდევ ერთი ფორმა - უგულუბელოება. ტერმინი „უგულუბელოება“ საქართველოს

კანონმდებლობაში 2016 წლამდე განმარტებული არ იყო. დღეს კი შემდეგნაირადაა განსაზღვრული: „მშობლის/მშობლების, სხვა კანონიერი წარმომადგენლის ან/და სხვა პასუხისმგებელი პირის მიერ ბავშვის ფიზიკური (მათ შორის, კვება, ჰიგიენა, საცხოვრისი), ფსიქოლოგიური საჭიროებების დაუკმაყოფილებლობა, საბაზისო განათლების უფლების შეზღუდვა, საფრთხისაგან დაუცველობა, დაბადების რეგისტრაციის ან/და ბავშვისათვის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტაციის მოწესრიგებისათვის, აგრეთვე სამედიცინო და სხვა მომსახურებით სარგებლობისათვის აუცილებელი მოქმედებების განუხორციელებლობა, თუკი მშობელს (მშობლებს), სხვა კანონიერ წარმომადგენელს ან/და სხვა პასუხისმგებელ პირს აქვს (აქვთ) სათანადო ინფორმაცია, შესაძლებლობა და ხელი მიუწვდება (მიუწვდებათ) შესაბამის მომსახურებაზე“ (საქართველოს მთავრობა, 2016).

ბავშვთა მიმართ ძალადობა: საზოგადოებაში არსებული განწყობები და ქცევა

„გაეროს ბავშვთა ფონდის“ მიერ 2013 წელს ჩატარებული ეროვნული კვლევის მიხედვით, მოსახლეობის 82% ფიქრობს, რომ საქართველოში ფიზიკური ძალადობა პრობლემას წარმოადგენს და თითქმის 40% თვლის, რომ ეს სერიოზული პრობლემაა. ეს ეწინააღმდეგება საზოგადოებაში ფართოდ გავრცელებულ ტოლერანტულ დამოკიდებულებას ფიზიკური სასჯელის, როგორც დისციპლინური მეთოდის მიმართ, თუმცა დასტურია იმისა, რომ ასეთი პრაქტიკის შეცვლის ნება არსებობს, რაც ამ კვლევის საკმაოდ მნიშვნელოვან ტენდენციას წარმოადგენს. ეს ცვლილებები აისახება სწორედ მიმართვიანობის გაზრდაშიც. ფიზიკურ ძალადობასთან მიმართებით მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნა, რომ ძალადობის ეს ფორმა სხვებისგან განსხვავებით უფრო ადვილი გამოსავლენია. ვინაიდან ამ დროს სახეზეა ძალადობით გამოწვეული დაზიანებები, როგორცაა: სისხლჩაქცევები, კოპები, მოტეხილობები, ჭრილობები, სხვადასხვა ხარისხის შეზორობა. ასეთი რისკის ქვეშ განსაკუთრებით იმყოფებიან მდედრობითი სქესის ბავშვები, რომლებიც შეიძლება ხშირად არა მხოლოდ მოძალადე მშობლების, არამედ ოჯახის სხვა წევრების, დედამამიშვილების მხრიდანაც გახდნენ ძალადობის მსხვერპლები. არსებული კვლევებისა და ანგარიშების მიხედვით, საქართველოში 2-14 წლამდე ბავშვების 20%-ზე მეტს ფიზიკურად სცემენ და ამას უმეტესად მამები აკეთებენ (საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, 2018).

ფიზიკურ ძალადობასთან ერთად ბავშვის განვითარებას მნიშვნელოვან ზიანს აყენებს უფულებელყოფა. საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის 2018 წლის კვლევის „ბავშვის მიმართ ძალადობა, საჭიროებების კვლევა“ მიხედვით, უფულებელყოფა ძალადობის სპეციფიკური ფორმაა და, ძირითადად, ოჯახშია გავრცელებული (საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, 2018). ბავშვებისადმი ძალადობის ეს ფორმა ხორციელდება, როგორც ემოციური, ისე აღზრდასთან დაკავშირებული სხვა პრობლემების უფულებელყოფით. ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაცია (ჯანმო) და მისი საერთაშორისო კლასიფიკაციების ქსელის მიერ შექმნილი კლასიფიკაციათა ოჯახი სამეცნიერო და საკლასიფიკაციო პრინციპებს ეფუძნება. ეს კლასიფიკაცია ფოკუსირდება ჯანმრთელობის მრავალგანზომილებიან ასპექტებზე, რომელშიც ბავშვთა მიმართ უფულებელყოფას შესაბამისი კოდები აქვს მინიჭებული (საქართველოს საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფონდი, 2016). აქედან გამომდინარე, შეგვიძლია მივიჩნიოთ, რომ უფულებელყოფა ზიანს აყენებს პირველ რიგში ბავშვის ფსიქო-ემოციურ განვითარებას და ერთ-ერთ მნიშვნელოვან სამედიცინო პრობლემადაც მიიჩნევა. „უფულებელყოფა მცირეწლოვან ბავშვებში სიკვდილიანობის და დაავადების ხელშემწყობი

მნიშვნელოვანი ფაქტორია” (პინეირო, 2006). გაეროს ბავშვთა ფონდის 2013 წლის ეროვნული კვლევის მიხედვით, მოსახლეობის 76% მიიჩნევს, რომ ბავშვთა ინტერესების უგულვებელყოფა საქართველოში პრობლემას წარმოადგენს. ბავშვთა ინტერესების უგულვებელყოფას ქალები უფრო მეტად აღიქვამენ პრობლემად, ვიდრე კაცები („გაეროს“ კითხვარში მოცემული იყო ბავშვთა ინტერესების უგულვებელყოფის მაგალითები: არ უტარდებათ რეგულარული სამედიცინო შემოწმება, დარღვეულია ჰიგიენის წესები, უყურადღებობაა ბავშვის ჩაცმულობის მიმართ, ბავშვს ხშირად ოჯახური მიზეზების გამო არ უშვებენ სკოლაში) (გაეროს ბავშვთა ფონდი, 2013). აღნიშნული შეიძლება განპირობებული იყოს იმით, რომ ქალები კაცებისგან განსხვავებით ჯერ კიდევ არიან ბავშვების ძირითადი აღმზრდელები.

საქართველოს რეალობაში, გაეროს კვლევის მიხედვით, საქართველოს მოსახლეობის 42%-ის აზრით, ყველაზე დიდი ალბათობით, ბავშვზე შესაძლო სექსუალურ ძალადობაში „ექვმიტანილები“ არიან უცხო პირები, ხოლო მეორე ადგილზე არიან ოჯახის მეგობრები და ნაცნობები (35%) (გაეროს ბავშვთა ფონდი, 2013), რაც არ შეესაბამება რეალობას. საქართველოში მოსახლეობის 84%-მა ვერ შეძლო სექსუალური ძალადობის ყველა ფორმის სწორად ამოცნობა, რაც თავისთავად მიუთითებს, რომ მოსახლეობის უდიდეს ნაწილს არ შეუძლია ძალადობის ამ ფორმის იდენტიფიცირება. ამას ემატება მითი იმის შესახებ, რომ ბავშვის მიმართ სექსუალურ ძალადობას უმეტესწილად ბავშვისთვის უცხო, უცნობი ადამიანები ახორციელებენ. რეალურად კი, შემთხვევათა 75-90%-ში სექსუალური მოძალადეები არიან ადამიანები, რომლებსაც ბავშვები კარგად იცნობენ და ენდობიან (საქართველოს საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფონდი, 2016). სექსუალურ ძალადობაზე საუბრისას გასათვალისწინებელია ისიც, რომ ჩვენს ქვეყანაში არსებული სოციო-კულტურული გარემოდან და დამკვიდრებული სოციალური ნორმებიდან გამომდინარე, ამ ტიპის ძალადობა ხშირად არ საჯაროდება და მიმართვიანობაც შედარებით ნაკლებია ფიზიკური ძალადობის ფაქტებისგან განსხვავებით. „2017 წელს და 2018 წლის დასაწყისში ბავშვთა მიმართ სექსუალური ძალადობის დაახლოებით 40 შემთხვევა იყო იდენტიფიცირებული... წინა წლებთან შედარებით ეს მზარდი ტენდენციაა“ (ტელეკომპანია „იმედი“, 2018). მზარდი ტენდენცია შეიძლება აიხსნას იმით, გაზრდილია არა სექსუალური ძალადობის შემთხვევების, არამედ უშუალოდ მიმართვიანობის რაოდენობა. მიგვაჩნია, რომ საჭიროებას წარმოადგენს საზოგადოებაში ამ საკითხის მნიშვნელოვნების გაზრდა და სახელმწიფოს მხრიდან მსხვერპლი ბავშვებისთვის დროული და რელევანტური სერვისების შეთავაზება.

გაეროს ბავშვთა ფონდის მიერ ჩატარებულ კვლევაში, რომელიც მსოფლიოს მასშტაბით განხორციელდა, ძალადობასთან დაკავშირებული კომპლექსური პრობლემები ერთადაა იდენტიფიცირებული: „გოგონების უმრავლესობა განიცდის სექსუალურ ძალადობას, ძალადობას მეგობარი ბიჭების ან ქმრების მხრიდან, ზოგ რეგიონში იჩაგრებიან მავნე ადატ-წესების გამო, ან უგულვებელყოფილნი არიან, რადგან არიან გოგონები. ბევრი ბიჭის მიმართ გამოიყენება მძიმე ფიზიკური სასჯელი, ისინი განიცდიან ძალადობას სხვა ახალგაზრდების ან ბანდების მხრიდან” (გაეროს ბავშვთა ფონდი, 2007, გვ. 18). ვფიქრობთ, რომ აღნიშნული მდგომარეობა მეტწილად შეესაბამება საქართველოში არსებულ ვითარებასაც.

საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში ხშირია ბავშვის მიმართ როგორც ფსიქოლოგიური, ისე ფიზიკური ძალადობის შემთხვევები უფროსების და თანატოლების მხრიდან (გაეროს ბავშვთა ფონდი, 2017). ასევე, სერიოზული პრობლემაა მოსწავლეთა შორის

ბულინგი, რაც ასახულია სახალხო დამცველის სპეციალურ ანგარიშში, რომელიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში ბავშვთა მიმართ ძალადობის კუთხით ჩატარებული მონიტორინგის შედეგებს ასახავს (საქართველოს სახალხო დამცველი, 2017). მონიტორინგი გაეროს ბავშვთა ფონდის მხარდაჭერით მიმდინარეობდა. მონიტორინგმა გამოავლინა, რომ დაბალია პასუხისმგებელ პირთა კომპეტენცია ბავშვის მიმართ ძალადობაზე რეაგირების მექანიზმთან დაკავშირებით. ამასთანავე, სკოლებს არა აქვთ ძალადობის დაძლევის ერთიანი პოლიტიკა. სკოლის თანამშრომლები არ არიან ინფორმირებულნი ბავშვთა ძალადობისაგან დაცვის სახელმწიფო მექანიზმის შესახებ, რაც თავისთავად სერიოზულ პრობლემასა და გამოწვევას წარმოადგენს. ასევე, დაბალია მოსწავლეთა ცოდნა თავიანთი უფლებებისა თუ ძალადობის სხვადასხვა ფორმის შესახებ. მოსწავლეების უმრავლესობას არ აქვს ინფორმაცია, თუ ვის უნდა მიმართოს მის მიმართ ძალადობის შემთხვევაში. ძალადობის სხვადასხვა ფორმიდან ცალსახად იკვეთება ყვირილი, შეურაცხყოფელი და ღირსების შემლახავი მოპყრობა (გაეროს ბავშვთა ფონდი, 2017). სახალხო დამცველის 2017 წლის სპეციალური ანგარიშის მიხედვით, სკოლის თანამშრომლების მხრიდან მოსწავლეებზე ფსიქოლოგიური ძალადობის შემთხვევები გამოკითხულ რეპოსნდენტთა პასუხების მიხედვით 50%-თან ახლოსაა ან აჭარბებს მას. ფსიქოლოგიური ძალადობა გამოხატულია შემდეგნაირად: დამამცირებელი მეტსახელით მიმართვა (60%), უხეში კომენტარების გაკეთება (51.5%), დაცინვა (51.5%) და ა.შ. (საქართველოს სახალხო დამცველი, 2017).

შედეგები

საზოგადოების ნაწილი დასაშვებად მიიჩნევს ბავშვის მიმართ ძალადობას, თუმცა ეს ყოველთვის არ გულისხმობს ძალადობრივი ქმედების განხორციელებას. 2016 წელს სოციალური მომსახურების სააგენტოს ფსიქოლოგებმა საქართველოს მასშტაბით მომსახურება გაუწიეს 376 არასრულწლოვანს. შინაგან საქმეთა სამინისტროს მოწოდებული ინფორმაციით, იმავე წელს ბავშვის ცემის 67 ფაქტზე დაიწყო გამოძიება. მიღებული სტატისტიკური მონაცემებიდან ირკვევა, რომ მაღალია მაჩვენებელი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 140-ე მუხლით გათვალისწინებულ ქმედებებზე. აღნიშნული მუხლი გულისხმობს სქესობრივ კავშირს ან სექსუალური ხასიათის სხვაგვარ მოქმედებას თექვსმეტი წლის ასაკს მიუღწევლთან. 2016 წელს აღნიშნული მუხლით გათვალისწინებულ 250 სავარაუდო დანაშაულის ფაქტზე დაიწყო გამოძიება, ხოლო დაზარალებულის სტატუსი მიენიჭა 198 არასრულწლოვანს. სპეციალისტები კი მიიჩნევენ, რომ ეს ციფრები რეალობას არ ასახავს. ოჯახში ძალადობის და კერძოდ ბავშვთა მიმართ ძალადობის შემთხვევები გაცილებით მეტია, რადგან ძალადობის მსხვერპლნი სამართალდამცველებს ან თუნდაც სოციალური მომსახურების სააგენტოს მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში მიმართავენ. ეს გამოწვეულია საზოგადოებაში დამკვიდრებული სტერეოტიპული დამოკიდებულებითა და ზოგიერთი სპეციალისტის მხრიდან არასათანადო ყურადღებით.

სიღრმისეული ინტერვიუებიდან იკვეთება ოჯახში ძალადობის პრობლემა. ქვემო ქართლის მანდატურის ბაზაზე არსებული ფსიქოლოგიური ცენტრის ფსიქოლოგი მიიჩნევს, რომ უმრავლეს შემთხვევაში, ოჯახში მომხდარი ძალადობა, თუნდაც არ ეხებოდეს ბავშვს და უბრალოდ უყურებდეს ამ ყველაფერს, ახდენს ძალიან დიდ გავლენას მათ ქცევაზე, წარმოშობს ემოციურ პრობლემებს, რაც საჭიროებს პროფესიონალის დახმარებას. „ექსპერიმენტები გვიჩვენებენ, რომ ოჯახში ძალადობის მომსწრე ბავშვების ნაწილი, რომლებიც უყურებენ ძალადობას, იქცევიან მოძალადის მსგავსად, იყენებენ ძალადობრივ მეთოდებს თავიანთი

მიზნის მისაღწევად; აღნიშნულმა ქმედებამ შესაძლოა გაზარდოს მომავალში კრიმინალის დონე,“ - აღნიშნავს ფსიქოლოგი. ასევე, ის თვლის, რომ სტატისტიკა არ ასახავს ზუსტად რეალობას. პირადი პრაქტიკიდან გამომდინარე, ფსიქოლოგი ფიქრობს, რომ დღეს საზოგადოება მაინც ცდილობს მსგავსი შემთხვევების დამალვას. აღნიშნულთან ერთად, ის ხაზს უსვამს, რომ ძალადობის მსხვერპლი ბავშვის ქცევა განსხვავდება თანატოლების ქცევისგან. კერძოდ, ბავშვი ხშირად არის აგრესიული და ცდილობს გააკეთოს იგივე, რასაც სახლში ხედავს. „მოსწავლეს თითქმის ყოველთვის აწუხებს შფოთვა და ემოციური პრობლემები, რაც გავლენას ახდენს სასკოლო განათლებაზე,“ - აცხადებს ფსიქოლოგი.

არსებითად იგივე აზრი დასტურდება „ქალთა ცენტრის“ მიერ გამოცემულ სახელმძღვანელოში, რომელშიც განხილულია ბავშვთა მიმართ ძალადობის საკითხი. ოჯახში ძალადობის შემთხვევათა დაახლოებით 70%-ში ძალადობის მსხვერპლნი არიან ბავშვები, როგორც მათზე ძალადობის უშუალო, პირდაპირი მოქმედებით, ასევე არაპირდაპირი - დედაზე განხორციელებული ძალადობის მოწმედ ყოფნით. „გამოკვლევებმა აჩვენა, რომ ბავშვების 90%-მა იცის დედის მიმართ ძალადობის შესახებ. ბავშვები, რომლებიც ძალადობის მოწმენი არიან, ისეთივე სულიერ ტრავმას ღებულობენ, როგორც ისინი, ვინც თავად არის ფიზიკურად შეურაცხყოფილი“ (ვერულაშვილი, 2007).

ბავშვზე ძალადობის რისკის გაზრდა უკავშირდება მშობლებსა და ოჯახის სხვა წევრებში განსაზღვრული ფაქტორების არსებობას. ძირითადად ამგვარ ქმედების მამოძრავებელი ფაქტორებია: დედის მიმძე ორსულობა ან რთული მშობიარობა, მშობლებს არ აქვთ ბავშვის აღზრდისა და განვითარებისათვის საჭირო ცოდნა და უნარ-ჩვევები, შესაძლოა, მშობლები თავად იყვნენ ბავშვობაში ძალადობის მსხვერპლნი. მშობლების ნაწილი ძალადობას ბავშვის აღზრდის ეფექტურ მეთოდად აღიარებს და დისციპლინის მიზნით ბავშვის ფიზიკურ დასჯას იყენებს, რაზეც საუბარია გაეროს მიერ 2013 წელს ჩატარებულ ეროვნულ კვლევაში „ბავშვის მიმართ ძალადობა საქართველოში“ (გაეროს ბავშვთა ფონდი, 2013).

სიღრმისეული ინტერვიუს ფარგლებში მშობელი საუბრობს, რომ ბავშვს ძალადობრივი მეთოდებით ზრდის, თუმცა არ მიიჩნევს ამას ნორმად. გამოიკვეთა, რომ არამძალადობრივი აღზრდის მეთოდების არცოდნა წარმოადგენს ერთ-ერთ რისკ-ფაქტორს, რომელიც უბიძგებს მშობელს ბავშვის განვითარებაზე ორიენტირებული აღზრდის სტილის გამოყენებისაკენ. აღნიშნული კი ხელს უშლის ბავშვთან ჯანსაღი ურთიერთობის დამყარებას. მნიშვნელოვანია, იმის აღნიშვნაც, რომ მშობელს არ აქვს ინფორმაცია რთული ქცევის მქონე ბავშვთან ურთიერთობის შესახებ. „იციტ ნამდვილად არ მსიამოვნებს ასეთი მიდგომა, მაგრამ ვძალადობდი ბავშვზე. ხშირად ვხვდებოდი რომ ამგვარი ქმედება უარესი იყო და თავად ვუბიძგებდი ძალადობისკენ. ძალიან რთული ბავშვია, თავისებური მიდგომა სჭირდება, მე კი ნერვები არ მყოფნის ამისთვის. უფრო სწორად ყველანაირი მიდგომა ვცადე, თქვენ წარმოიდგინეთ, ბოლოს მანდატურს მივმართე დახმარებისთვის. უკვე ორი კვირაა ხელი არ დამიკარებია, ანუ ყური არ ამიწევია, მაგრამ მკაცრად ვექცევი,“ - ამბობს მშობელი. ის ასევე აღნიშნავს, რომ ბავშვი ურტყამს კლასელებს და თავის დასაც აბრაზებს. განსაკუთრებულ ყურადღებას კი იმაზე ამახვილებს, რომ ფაქტობრივად მართო უწევს ბავშვის რთულ ქცევებთან გამკლავება. გარშემომყოფებისგან ითხოვს რჩევებს, რადგან აღარ იცის როგორ მოიქცეს. აღნიშნულიდან შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ სახელმწიფოში არ არსებობს ადეკვატური

მექანიზმები და მომსახურება, რომელიც მშობლებს მუდმივ მხარდაჭერას გაუწევს და მიაწოდებს ინფორმაციას იმის შესახებ, თუ როგორ დაამყაროს შვილთან ჯანსაღი ურთიერთობა.

აქედან გამომდინარე, არსებობს მშობლების დაბალი ინფორმირებულობის დონის პრობლემა. ამაზე მიუთითებს ის ფაქტიც, რომ ერთ-ერთი ბავშვის მამის აზრით, ფსიქოლოგთან სიარული ნორმალური არ არის და კატეგორიულად ცდილობს ხელი შეუშალოს კონსულტაციებს ცენტრში. განათლების სფეროში ჩართული სპეციალისტები მიუთითებენ, რომ საზოგადოებრივი ცნობიერების კუთხით დიდი წინააღმდეგობები არსებობს. საზოგადოება, ამ შემთხვევაში მშობლები, არ არიან მზად იყვნენ სოლიდარული თუნდაც ფსიქოლოგის ინსტიტუტის მიმართ, - საუბრობს მანდატურის ბაზაზე არსებული ფსიქოლოგი.

სკოლის ფსიქოლოგი აღნიშნავს: „მშობელი შედის შეცდომაში, როცა ფიქრობს, რომ ძალისმიერი მეთოდით ბავშვთან მიაღწევს სასურველ შედეგს. რეალურად, ამგვარი დასჯის შედეგი ხანმოკლეა. ასეთი ქმედებებით მშობელი ბავშვს გრძელვადიან პერსპექტივას „უკლავს“ და ზიანს აყენებს მის ფსიქო-ემოციურ განვითარებას. აუცილებელად მიმაჩნია პრევენციის საკითხი. გასათვალისწინებელია ქვეყანაში არსებული მძიმე სოციალური ფონიც, რაც გავლენას ახდენს ოჯახის თითოეულ წევრზე. აუცილებელია გვახსოვდეს, რომ ძალადობა მარტო ცემა არაა.“

დასკვნა

კვლევის შედეგად ვასკვნით, რომ არსებული კანონების, დოკუმენტებისა და მიღებული საერთაშორისო კონვენციების მიუხედავად საქართველოში ბავშვთა უფლებებთან დაკავშირებით რეალობა საკმაოდ რთულია. რა თქმა უნდა, მნიშვნელოვანია მიღებული კანონმდებლობა და თითოეული დეტალი ბავშვის უფლებებთან, მის დაცვასთან დაკავშირებით, თუმცა პრაქტიკაში კანონი ყოველთვის აღსრულებადი არ არის. მნიშვნელოვანია იმის გათვალისწინება, ბავშვთან დაკავშირებული კანონმდებლობის განვითარება ჩვენი ქვეყნისთვის ერთ-ერთ პრიორიტეტულ საკითხს წარმოადგენს. სისტემის გაუმართავობა და თითოეული გამოუძიებელი შემთხვევა უშუალოდ აისახება ბავშვთა კეთილდღეობაზე.

არსებული ვითარებიდან იქმნება შთაბეჭდილება, რომ საქართველოში ბავშვების უფლებები დაცული არ არის. თეორიულად ბავშვის უფლებები გაწერილია, როგორც საერთაშორისო სამართლებრივი აქტებით, ისე ეროვნული კანონმდებლობით. საერთაშორისო ხელშეკრულებები, რომლებიც საქართველოს მიერ რატიფიცირებულია, საქართველოს კანონმდებლობის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი ქვეყანა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ბავშვთა უფლებების კონვენციას 1994 წლიდან შეუერთდა საქართველოში ჯერ კიდევ პრობლემას წარმოადგენს ბავშვთა მიმართ ძალადობის პრევენცია, შემთხვევების დროული გამოვლენა და დაცვის მექანიზმების ეფექტიანი განხორციელება. ამ ფაქტს აგრეთვე ხელს უშლის საზოგადოებაში დამკვიდრებული სტერეოტიპები.

სიღრმისეული ინტერვიუებიდან გამოიკვეთა, რომ საზოგადოება სათანადოდ არ არის ინფორმირებული ბავშვის აღზრდის არამალადობრივი მეთოდების შესახებ და არც იმ კანონებზე, რომლებიც იცავენ ბავშვის უფლებებს. გასათვალისწინებელია ისიც, რომ ჩვენ მიერ ჩატარებულ კვლევაში იკვეთება ოჯახში ძალადობის პრობლემა, რომელსაც სიღრმისეულ ინტერვიუში თავად დედა აღიარებს. სავარაუდოა, რომ არაერთია მსგავსი შემთხვევა. საყურადღებოა ისიც, რომ 2016-2018 წლებში შსს-ში ბავშვზე ძალადობის შესახებ ინფორმაციის მიწოდების ვალდებულების შეუსრულებლობის არც ერთი ფაქტი არ ფიქსირდება, რაც

გვაფიქრებინებს იმას, რომ საქართველოს მთავრობის მიერ 2016 წელს მიღებული ბავშვთა რეფერირების დოკუმენტი სათანადოდ არ მუშაობს (პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის, 2018). ფსიქოლოგი აღნიშნავს იმასაც, რომ ოჯახებში არსებული მძიმე სოციო-ეკონომიკური მდგომარეობა კიდევ უფრო ამძაფრებს ბავშვის მიმართ ძალადობასა და მათ უგულვებელყოფას. ფაქტია, რომ კანონის აღსრულებისა და რეაგირების თვალსაზრისით სისტემაში სერიოზულ პრობლემებს ვაწყდებით. გასათვალისწინებელია, როგორც მშობლების, ასევე ბავშვებთან მომუშავე სპეციალისტების ინფორმირებულობის დონე და პრაქტიკული გამოცდილება.

„ბავშვთა მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების“ პრობლემას წარმოადგენს ისიც, რომ უწყებების უმრავლესობას არ აქვს გაწერილი ძალადობის რეფერირების შიდა ინსტრუქცია, რასაც ადასტურებს ორგანიზაცია „პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის“ (პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის, 2018). ამას გარდა, ამჟამინდელი კანონმდებლობით პასუხისმგებლობა არ ეკისრება სამოქალაქო სექტორსა და არასამთავრობო ორგანიზაციებს მიმართვიანობის ვალდებულების თაობაზე. მნიშვნელოვნად მიგვაჩნია, რომ აუცილებელია კანონში არსებული ხარვეზების გამოსწორება და კანონმდებლობის ხელახლა გადახედვა, ასევე აღსრულების მექანიზმის გააქტიურება.

გასათვალისწინებელია, რომ „გაეროს ბავშვთა ფონდის“ 2013 წლის ეროვნული კვლევის მიხედვით, საქართველოში მოსახლეობის 60% მიიჩნევს, რომ ოჯახში აღზრდის მკაცრი მეთოდების გამოყენება უფრო შედეგიანია, ვიდრე არაძალადობრივი მეთოდები. ასევე, გამოკითხული რესპონდენტებიდან, საქართველოს ყოველმა მეხუთე მოქალაქემ არ იცის, თუ რა უნდა გააკეთოს და ვის მიმართოს, როდესაც ძალადობის მოწმე გახდება (გაეროს ბავშვთა ფონდი, 2013). სავარაუდოა, რომ აღნიშნული მდგომარეობა იცვლება, რასაც მოწმობს ძალადობის ფაქტებზე გაზრდილი მიმართვიანობა, თუმცა ახალი ეროვნული კვლევა ამ საკითხის შესახებ ჩატარებული არ არის. აქედან გამომდინარე, საჭიროდ მივიჩნევთ აღნიშნული კვლევის რეპლიკაციასა და საქართველოს მოსახლეობის ინფორმირებულობის დონის ახალ კვლევას, რომელმაც შესაძლოა მოგვცეს განსხვავებული შედეგები. ვითვალისწინებთ იმასაც, რომ „საქართველოს სახალხო დამცველის“ ყოველწლიურ საპარლამენტო ანგარიშში განხილულია ბავშვთა მიმართ ძალადობისა და უგულვებელყოფის საკითხი, რაც იმაზე მიანიშნებს რომ ეს თემა განიხილება და უყურადღებოდ არ რჩება.

„საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის“ 2018 წლის „ბავშვთა საჭიროებების კვლევა“ ყურადღებას ამახვილებს, რომ აუცილებელია სამართალდამცავი ორგანოების, სასწავლო დაწესებულებების თუ სხვა პროფესიონალების აქტიური ჩართვა ძალადობის ფაქტების იდენტიფიცირების მიზნით. ასევე, კვლევები და ბავშვთა მიმართ გახშირებული ძალადობის შემთხვევები ადასტურებს, რომ ძალადობისგან ბავშვთა დაცვის სისტემა გამართვას და სრულყოფას საჭიროებს. რაც შეეხება, საქართველოს კონსტიტუციის ბოლო ცვლილებებს, ვენეციის კომისიის რეკომენდაციის თანახმად აუცილებელია, რომ საქართველოს კონსტიტუციაში ბავშვის უფლებების დაცვის შესახებ ჩანაწერი ცალკე მუხლად ჩამოყალიბდეს. საყურადღებოა, რომ კონსტიტუცია საკმარისად არ ითვალისწინებს ბავშვის უფლებებს, მათ შორის ისეთ საკითხებს, რომლებიც სხვა ქვეყნების კონსტიტუციებით არის განსაზღვრული (საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, 2018).

მნიშვნელოვნად მივიჩნევთ ძალადობის თითოეულ ფორმასთან დაკავშირებით საზოგადოებაში, განსაკუთრებით კი ბავშვებთან მომუშავე სპეციალისტების ინფორმირებულობის დონის

ამაღლებას და მუდმივ მონიტორინგს შესაბამისი პასუხისმგებელი უწყებების მხრიდან. საჭიროა ბავშვთა მიმართ ძალადობისა და უფლებებლყოფის პრევენციული მექანიზმის ჩამოყალიბება და მისი განვითარება. საქართველოს მიერ მიღებული, როგორც ეროვნული, ისე საერთაშორისო დოკუმენტები ძირითადად განიხილავენ ძალადობაზე რეაგირებას და არა პრევენციას და შესაბამისი მექანიზმების შემოღების ვალდებულებას. ასევე, საჭიროდ ვთვლით ბავშვის მიმართ ძალადობის შემთხვევებზე სანქციების გამკაცრებას, თუმცა უნდა აღინიშნოს ისიც, რომ, ჩვენი აზრით, გამკაცრებული სახელმწიფო კონტროლი გამოსავლად ჩაითვლება მაშინ, როდესაც დაიწყება კანონის სისტემატური და ადეკვატური აღსრულება. სახელმწიფოს მიერ მიღებული თითოეული დოკუმენტი და პრაქტიკული ქმედება მიმართული უნდა იყოს ბავშვის საუკეთესო ინტერესზე, რასაც ჩვენ მიერ მიღებული გაეროს „ბავშვის უფლებების კონვენცია“ გვავალდებულებს (საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი, 2000).

გამოყენებული ლიტერატურა

AtipFund. (2016). დაბრუნებული <http://atipfund.gov.ge/#none>-დან

გაეროს ბავშვთა ფონდი . (2017). დაბრუნებული

http://unicef.ge/44/sakhalkho_damtsvelis_angarishi_dzaladoba_skolebshi/508-დან

გაეროს ბავშვთა ფონდი. (2006). www.unicef.ge. დაბრუნებული

http://unicef.ge/uploads/Violence_ALL.pdf-დან

გაეროს ბავშვთა ფონდი. (2007). დაბრუნებული

http://unicef.ge/uploads/Child_friendly_adapted_VACgeo.pdf-დან

გაეროს ბავშვთა ფონდი. (2013). www.unicef.ge. დაბრუნებული

http://unicef.ge/uploads/Unicef_VAC_GEO_Final3_02_09.pdf-დან

გაეროს ბავშვთა ფონდი. (2017 წლის 4 ოქტომბერი). დაბრუნებული

http://unicef.ge/132/child_protection_referral_in_georgia/506-დან

გავაშელი. (2017 წლის 3 დეკემბერი). დაბრუნებული <https://1tv.ge/news/bavshvta-mimart-dzaladobis-shemtkhvevebze-mimartvianoba-gaizarda/>-დან

ვერულაშვილი. (2007). დაბრუნებული <http://www.nplg.gov.ge/gsd/cgi-bin/library.exe?e=d-00000-00--off-0civil2--00-1----0-10-0---0---0prompt-10---4-----0-1l--10-ka-50---20-about---00-3-1-00-0-0-01-1-0utfZz-8-00&cl=CL1.34&d=HASH6adef4a761206880fbf56.8>=1>-დან

ნამიჭეიშვილი. (2014 წლის ივლისი). www.wvi.org. დაბრუნებული

https://www.wvi.org/sites/default/files/Report_Child_Welfare_Reform_GEO.pdf-დან

პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის. (2018 წლის 18 ნოემბერი). დაბრუნებული

<https://phrgeorgia.wordpress.com/2018/11/23/მივმართავთ-მთავრობას-მოა/>-დან

პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის. (2018 წლის 19 ნოემბერი).

www.phrgeorgia.wordpress.com. დაბრუნებული

https://phrgeorgia.wordpress.com/2018/11/19/phr-მა-ბავშვის-მიმართ-სხეულე/?fbclid=IwAR3U696ROL2srOnyG75m_Dn2WUF6kGoxcp2c8ZpRz87naPw6tCcigLyKIP0-დან

პინერი. (2006 წლის 29 აგვისტო). დაბრუნებული http://unicef.ge/uploads/Violence_ALL.pdf-დან

- სამოქალაქო განვითარების ინსტიტუტი . (2015). დაბრუნებული
<http://cdi.org.ge/uploads/pages/uflebebi-ganatilebashi-61.pdf>-დან
- საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია. (2018). დაბრუნებული
<https://gyla.ge/files/banners/კვლევა%20ავშვის%20მიმართ%20ძალადობა.pdf>-დან
- საქართველოს მთავრობა. (2016). *www.matsne.gov.ge*. დაბრუნებული
<https://matsne.gov.ge/ka/document/view/3394478?publication=0>-დან
- საქართველოს პარლამენტი. (1999). *www.matsne.gov.ge*. დაბრუნებული
<https://matsne.gov.ge/ka/document/view/16426?publication=205>-დან
- საქართველოს პარლამენტი. (2001). დაბრუნებული
<https://matsne.gov.ge/ka/document/view/15652?publication=3>-დან
- საქართველოს პარლამენტი. (2005). დაბრუნებული
<https://matsne.gov.ge/ka/document/view/29248?publication=76>-დან
- საქართველოს პარლამენტი. (2007 წლის 25 ოქტომბერი). დაბრუნებული
<http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/aqtebi54.pdf>-დან
- საქართველოს პროკურატურა. (2017 წლის 31 ოქტომბერი). *www.pog.gov.ge*. დაბრუნებული
http://pog.gov.ge/res/docs/public_information/dazaralebuliarsulwlovnebi.pdf-დან
- საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტი. (1995). *www.matsne.gov.ge*. დაბრუნებული
<https://matsne.gov.ge/ka/document/view/30346?publication=35>-დან
- საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი. (2000). დაბრუნებული
<https://matsne.gov.ge/ka/document/view/1399901?publication=0>-დან
- საქართველოს საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფონდი. (2016). *www.phf.org.ge*. დაბრუნებული
<http://phf.org.ge/ka/resources/seqsualuri-dzaladoba-bavshvze/>-დან
- საქართველოს საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფონდი. (2016). *www.phf.org.ge*. დაბრუნებული
<http://phf.org.ge/ka/resources/bavshvze-dzaladobis-da-ugulebelyofis-saertashoriso-klasifikatorebi/>-დან
- საქართველოს სახალხო დამცველი. (2016). დაბრუნებული
<https://sites.google.com/view/geoombudsman/ანგარიშები/საპარლამენტო-დან>
- საქართველოს სახალხო დამცველი. (2016). *ბავშვთა უფლებრივი მდგომარეობა საქართველოში*.
დაბრუნებული <http://www.ombudsman.ge/uploads/other/4/4471.pdf>-დან
- საქართველოს სახალხო დამცველი. (2017). დაბრუნებული
http://unicef.ge/uploads/CHILD_REPORT_GEO_2017.pdf-დან
- ტელეკომპანია „იმედი" . (2018 წლის 28 თებერვალი). *www.imedinews.ge*. დაბრუნებული
<https://imednews.ge/ge/saqartvelo/50730/saqartveloshi-bolo-1-tselshi-bavshvebze-seqsualuri-dzaladobis-40-shemtkhvevaa-identipitsirebuli>-დან